

სოციალდემოკრატი

სოლის კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა

№ 6

ნოემბერი (13) 26 1905 წ.

№ 6



რედაქციისაზან.

„სოციალდემოკრატის“ გამოცემა ძლიერ დაგვიანდა შესაფერი ტეხნიკის უქონლობის გამო. ეს ნაკლი ამ ჟამათ თავიდან აცილებულია და ამ მხრით აღარავითარი დაბრკოლება აღარ იქნება. მეორე მხრით, ბეჭდვის თავისუფლება რამოდენიმეთ შემოლებულია და ეს გზას გვიხსნის ლეგალური ბეჭდვისაკენ. იმას, რის დაბეჭდვა აშკარათ შეგვეძლება—აშკარათ დავგეჭდავთ, დანარჩენებისთვის კი ისევ ჩენს საიდუმლო. ტეხნიკას მივმართოვთ.



17 ოქტომბრის მანიფესტი.

პროლეტარიატის ბრძოლამ, ხალხის რევოლუციურმა მოძრაობამ უკვე გაანგრია თვითმპყრობელობის კედელი და აიძულა თვითმპყრობელი უარ-ეყო ძევლი წყობილება. 17 ოქტომბრის მანიფესტი რევოლუციის პირველი გამარჯვებაა. თავისუფლება პოლიტიკური, სათაბირო კანონმდებელი—ი გამარჯვების ნაყოფი. მეფეს ჩამოერთვა ერთი მისი მთავარი უფლება—კანონების გამოცემა და გადაეცა არჩეულ დეპუტატებს, ამათ ნება-დაურთველათ ვერავითარი კანონი ვერ გამოიცემა. მას დარჩა აღმასრულებელი ძალა, ე. ი. კამოცემული კანონის სისრულეში მოყვანა. ამიერიდან მეფე აღარ არის თვითმპყრობელი, მისგან აღარ გამომდინარეობს ყველა უფლება, ის ველარ პყრობს ქვეყანას განუკითხვათ და შეუზღუდველათ. თვითმპყრობელობა დაეცა და მისი დანგრევის ხმაზე ქვეყანა შეირყა და შეშფოთდა. ყველა გრძნობს რაღაც ახალი მოხდა, ყველა ხედავს რაღაც ახალ ცხოვრებას. შევუბებულმა ძალებმა გამოსავალი იშოვა და მედგრათ გადმოხეთქა. მთელი რუსეთი ბობოქონბს, ტოკავს, ერთ ადგილას ველარ ჩერდება, თავის ბუდიდან გადმოვარდნას ეპირება. საზოგადოების ერთი ნაწილი აღტაცებაშია, მეორე ნაწილი ოხვარა-ვოდებაში. პირველისათვის ამობრწყინდა განთიადი, მეორეს-თვის დაიწყო ბნელეთი.

რა იყო, რა მოხდა? მოხდა ის რაც კაი ხანია უნდა მომხდარიყო. მეფემ საქვეყნოთ გამოაცხადა თავის თავი ბურუუზის მეთაურათ, მისი ბრძანების ამსრულებელათ. 17 ოქტომბრის მანიფესტი—ეს არის მეფის გაბურუუზება, ბურუუზის გამეფება. და მართლაც, სახელმწიფო სათაბირო აღიარებულია კანონმდებელით, ხოლო სათაბირო—ბურუუზის ასპარეზათ. შეძლებულნი იჩიევენ დეპუტატთა დიდ უმრავლესობას, ესენი სცემენ კანონებს და მას ასრულებს მეფე. სახელმწიფო ძალა გაიყო ორათ, ერთი დარჩა ძევლი წყობილების ნაშთს, მეორე გადაეცა ახალი წყობილების ბურჯს. სწორეთ ასეთი პროგრამით მიმართა ერობათ დეპუტატიმ ნიკოლოზს ამ სამი თვის წინეთ, სწორეთ ამას ითხოვდენ კაი ხანია ბურუუზის იდეოლოგები—ლიბერალები და ეს დააკმაყოფილა მთავრობამ. მის მიერ გამოცხადებული თავისუფლებაც ლიბერალურია, სხვადასხვა ხრიკებით შეზღუდული და ფრთა შეკვეცილი.

17 ოქტომბრის მანიფესტი ლიბერალთა დიდი გამარჯვებაა.

მარქსის სიტყვით, ის რევოლუციაა ძირითადი და მკვიდრი, რომელიც მაღლა-მაღლა მიღისო. ასეთი იყო საფრანგეთის დიდი რევოლუცია, ასეთია რუსეთის რევოლუციაც. ექვსი ივნისტოს მანიფესტმა დააკმაყოფილა ლიბერალთა ზომიერი ნაწილი, მასი მარჯვენა ფრთა; ამათ მაშინვე ასტეხს ყვირილი: წესიერება, ამიერიდან „კანონიერათ“ ვიმოქმედოთ. უკანასკნელი მანიფესტით დაკმაყოფილდა ლიბერალთა მეორე ნაწილი, მეორე ცხენენი. ახლა ესენიც აყაყანდენ, წესიერება, წესიერებათ. თვითილისის ქალაქის ხმოსნები იწვევენ მოქალაქეთ დამშვიდებრ, ქუჩებზე უწესობას ნუ მოახდენენ და შეუდგენ „აღმაშენებელ მუშაობას“. ლიბერალებისათვის ახლა ყოველნაირი რევოლუციური მოქმედება „უწესოებაა“, რაც ხელს უშლის მათ მთავრობასთან ერთათ მუშაობაში: იმათ უკვე იწყეს მეფისაკენ გადასვლა, ჯერ, რასაკვირველია, მორცხვათ, მიკიბულ-მოკიბულათ, და თუ ახლავე ისინი წესიერების პარტიათ არ ცხადდებიან—ამის მი-

ზეზია რეაქციის შიში ერთი მხრით და ვიტტეს უნდობლობა მეორე მხრით. ვიტტეს, ამ ძველი წყობილების ჩინოვნიერს, კაი ხანია სახელი გაუტყდა ლიბერალებში და ისიც ამათ დაქცებს ამხანაგებს მათ შორის. ლიბერალთა სრული დაკმაყოფილება მოხდება მაშინ, როცა ვიტტეს გადმოაგდებენ და რუსეთის სვებედს თავის მეთაურს ჩაბარებენ.

როგორც ხედავთ, ხალხი პროლეტარიატის მეთაურობით სისხლს ღვრის, ქუჩაზე ის იბრძვის, დემონსტრაციებს და იჯანყებებს ის მართავს, რევოლუციას ის აწარმოვებს, ხოლო ნაყოფს კი ლიბერალები მკიან, პირველ ყოვლისა ისინი იმარჯვებენ და ქვეყნის სათავეში დგებიან. და ეს სხვანაირათ არც კი შეიძლებოდა. რაკი დაბლა მდგომი კლასი მაღლა მიიწვევა, ცხადია მის კისერზე მდგომი კლასები მასზე უფრო აღრე მიაღწევს დანიშნულ აღაგას. მას თავის ზურგით აყვას მაღლა საუქეურზე მისივე მტრები. აქ შეიძლება მოხდეს ორგანიზაციი: ან რევოლუციური კლასი მისი მტრების მაღლა აყვანას—თავის აყვანათ ჩასთვლის და მოძრაობას აჩერებს, ან და საქმის ნამდვილი წარმოდგენა აქვს, მტრეს მტრათ ცნობს და მის მაღლიდან გადასრეკათ კიდევ უფრო მედგრათ მიიწვევა. პირველნაირი რევოლუცია მოტყუებული რევოლუციაა, როგორც ეს იყო გერმანიაში 1848 წ. მეორე ნაირი რევოლუცია კი ძლევა-მოსილი, ძირითადი რევოლუციაა, როგორც ეს იყო საფრანგეთში 1789 წ. მაშასადამე, რუსეთის რევოლუციური კლასების და პარტიების მოვალეობა—თავისი მედგარი მსვლელობა არ შეაჩერონ, ლიბერალთა გამარჯვება თავის გამარჯვებათ არ მიიღონ, მუდმივი რევოლუციით ლიბერალები გადარეკონ და სახელმწიფოს სათავეში დემოკრატია მოაქციონ. ლიბერალების გამარჯვების შეცვლა დემოკრატიის გამარჯვებით—აი დღეიდან რევოლუციის დროშა. პირველია ბურჟუაზიული მონარქია, მეორე—დემოკრატიული რესპუბლიკა. ლიბერალები მეფეს ართმევენ უფლების ერთ ნახევარს, დემოკრატები კი—ორივე ნახევარს და მით მეფობაც მეტი ბარგი ხდება.

მთელი კანონმდებელი და იღმასრულებელი ძალის ხალხის ხელში მოქცევა—აი დემოკრატიის დროშა. და ვინც დღეიდან ამ დროშის ქვეშ არ იბრძვის, ის მთავრობის ბანაკში დგება.

ლიბერალთა გამარჯვება მდგომარეობს ბურჟუაზიის მეფესთან შეთანხმებაში და ამიტომ შეიძლებოდა ის მეფის მანიფესტით გამოცხადებულიყო.

დემოკრატიის გამარჯვება მეფის უარის ყოფაა და ამიტომ მისი გამოცხადება მხოლოდ ძლევა-მოსილი აჯანყებით შეიძლება. ამ აჯანყების გაა-

დვილება მოითხოვს რეაქციის ერთიანათ გატეხს, მის ძირ-ბუდიანათ ამოგდებას.

რეაქციის განადგურება ლიბერალთა დაზშარებით, ლიბერალების განადგურება დემოკრატების დახმარებით—აი ერთათ ერთი რევოლუციური დროშა. სანამ რეაქცია ფეხზე დგას, მანამდის ლობერალები კადევ ითამაშებენ ოპოზიციურ როლს; როგორც კი რეაქცია გატყდება, ლიბერალები მოვარდებიან ოპოზიციას და კუნსერვატორებათ გადაიქცევიან.

ამანირათ, 17 ოქტომბრის მანიფესტმა შექმნა შემდეგი მდგომარეობა: მთავრობამ იცნო ლიბერალთა პროგრამა და ის თავის პროგრამათ გაიხადა; ლიბერალები კმაყოფილი არიან ამ გამარჯვებით, უკმაყოფილოა მხოლოდ მთავრობის მეთაურობით პრიადობით. ლიბერალურ მთავრობას გადაუდგა ბიუროკრატია და ცდილობს მის დამხობას და ძველი წყობილების აღდგენას. რევოლუციური პარტიები და მათ შორის, პირველ ყოვლისა, სოციალდემოკრატია თავის მიზნათ ისახავს დემოკრატიულ რესპუბლიკას და აქეთკენ ერევება ყველა ოპოზიციურ კლასებს. ამ კლასების განწყობილება, მათი შეჯახშემოჯახება და ერთი მეორეში გადასულა-გადმოსვლა შეაღენს ძალას დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრებისა. დღეს მათ შორის გაცხარებული ბრძოლაა, ვერც ერთი მათგანი ვერ არის გაბატონებული, აწყო არც ერთის არ არის; ძველი წყობილება დაირღვა, მარა ახალი ჯერ კიდევ ვერ დამყარდა.

როგორი იქნება ახალი წყობილება—ლიბერალური თუ დემოკრატიული? მეფე კონსტიტუციური თუ რესპუბლიკა დემოკრატიული? აი დღევანდელი საჭირ-ბოროტო კითხვა. და თუ რუსეთის რევოლუციამ თავის გზას არ გადაუხვია, თუ მან თავისი მსვლელობა არ შეაჩერა, ცხადია ის ბოლომდის მივა, დემოკრატიული რესპუბლიკით დასრულდება.

მაშ შევეცადოთ, რომ რევოლუცია არ შეაჩერდეს, გავაღვივოთ მისი ცეცხლი, გადავიტანოთ ის ყველგან და გავანადგუროთ ყველა მისი მტერი.

რევოლუციის

და კონტა-რევოლუციის

როგორც კი გამოცხადდა 17 ოქტომბრის მანიფესტი, მთელ რუსეთში დაიწყო აშკარა ბრძოლა ახალი წყობილების წინააღმდეგ. სინათლის დანახვაზე შეშფოთდა ყველა ბნელი ძალები, გამოძერენ თავის სორიდან, შეერთდენ ერთ შძლავრ ლაშქრათ და შეუდგენ შეიარაღებულ თავს დასხმას

თავისუფლების მომხრეებზე. არ დარჩენილა არც ერთი დიდი ქალაქი, საღაც არ მომხდარიყოს ხალხის ერთი ნაწილის აკლება მეორე ნაწილის მიერ. მართალია წინეთ ხშირათ ყოფილა პოვრომები, მაგრამ ყველა ის დიდათ განიჩევა თავის აზრით და მიმართულებით ახლანდელისაგან. წინანდელი ხოცვა-ულეტა უფრო ნაციონალური იყო და წარმოებდა რუს-ებრაელთა და სომებ-თათართა შორის. ახლანდელი აკლება კი უფრო პოლიტიკური ხსიათისა და წარმოებს თავისუფლების მომხრე და მოწინააღმდეგეთა შორის, განურჩევლათ ეროვნებისა და გვარტომობისა. პირველი იყო შემთხვევითი, აქა-იქ, ის არ ემორჩილებოდა ერთ გამომუშავებულ ორგანიზაციის. მეორე არის საყოველთაო, სისტემატიური და ხდება შემუშავებული გეგმით. აქ ნათლათ სჩანს ორგანიზაცია, ჩანან ორგანიზატორებიც. ერთი სიტყვით რამოდენიმე დღეში რუსეთი გაიყო ორ ბანაკათ და ერთი იერიშით მივიდა მეორეზე. რატომ? რა აწუხებს და აბოროტებს მათ? რატომ იღვრება ამოდენა სისხლი ან როდის უნდა შეჩერდეს?

რევოლუციურმა მღელვარებამ გაარღვია ძველი წყობილების კედლები და არივ-დარია მტერთა ბანაკი. მთავრობის ერთმა ნაწილმა გადასწყიტა რევოლუციის ცნობა, მისი ელემენტარული მოხსენილებათა მიღება და მით მისი დამორჩილება. მეორე ნაწილი წინააღმდეგა ამ განზრახვას და მათ შორის გაიმართა ბრძოლა. 17 ოქტომბრის მანიუსტი ნიშავს პირველის გამარჯვებას და მეორის დამარცხებას. მაგრამ ეს გამარჯვება მოხდა მაღლა, ტახტის ახლო მდგრმ მოხელეებს შორის; ძველი სამინისტრო დაეცა და ახალი შედგა. მაგრამ ძველი წყობილება მარტო მინისტრებისაგან ხომ არ შედგება, რომ მათ გადაყენებას წყობილების დაცემაც გამოეწვია. პირ-იქით, მთავრობა, სამინისტრო აღმოცენებულია ამ წყობილების ნიადაგზე, ის მისი დასკვნა, მისი თულია და ვისაც სურს პირველის ნამდვილათ დარღვევა—საჭიროა პირველ ყოვლისა დაარღვიოს მეორე. როცა საძირკველი დაინგრევა ზედ აგებული შენობაც თავის-თავათ გაქრება. ასეთი დანგრევა აუცილებლათ უნდა მოხდეს ქვევიდან, აჯანყებით. ხალხმა ყოველგან უნდა დაამარცხოს ადგილობრივი რეაქცია, მოშალოს ძველი წყობის ადგილობრივი ბორბალი და როცა ამ გზით გატყდება თვითმპურობელობის ყველა შემადგენელი ნაწილები, გაქრება ძველი ბიუროკრატია ძველი მხედრობა, ძველი პოლიცია და მათი ამ-ყოლ-დაყოლნი, მაშინ შესაძლებელი იქნება ახალი წყობილების დამკვიდრება. მაგრამ რუსეთის რევოლუციამ ეს დღემდის ვერ შესძლო, თუმცა კი ის

ამ შერით მიიმართება. სამაგიეროთ მან შეარყია მაღალი სფერია, მთავრობა და აიძულა ის ჩეფორმის-გზას დასდგომოდა. და აი, მთავრობა პირველების მომხრე, ხოლო მთელი მისი ძალა—ბიუროკრატია, მხედრობა, პოლიცია—რეაქციის მომხრე. მაშასა-დამე რეაქციის ხელში მთელი შეიარაღებული ძალა და რაღა გასაკვირალია მას პირველის წინააღმდეგ გაელაშქრნა. პოლიციის ყველა მოხელე, დაწყებული გუბერნატორით და გათავებული დვორნიკით, ძველი წყობილების დაყენებული და მისი მონა-მორჩილია, ყველა მხედარი, ღენერლიიდან სალდათამდე, თვითმპურობელობის ერთგულებაზე დაფიცებული და მისი მცველია. ესენი მთელ თავის ძლიერებას, მთელ თავის პატივს და დიდებას ძველი წყობილებიდან დებულობენ; და აი მოდის რამოდენიმე კაცი მინისტრის სახით და უცხადებს: ძველი წყობილება დალპა, ახალი აფაგოთო, ე. ი. თქვენ არც ერთი არ ვარგხართ, თვალიდან დამეკარგეთო! მუქთახორანი ფეხზე დაღვენ, მათში გაიღვიძა თვითმპურობელობამ და აჯანყდა. თვითმპურობელობა თვითმპურობელის წინააღმდეგ—ი მთელი შინაარსი დღევანდელი კონტრ-რევოლუციისა. მეფემ ხელი აიღო წინააღმდელ თვითმებობაზე, მაგრამ მისი მოსამსახურენი სრულიადაც არ ფიქრობენ თვითმებობის უარის ყოფას, პირიქით ახლა მას კიდევ უფრო ებრაუჭებიან, კიდევ უფრო გამწარებით კბილით აფრინდებიან.

ამნაირათ, ერთის (მეფის) თვითმპურობელობა მოისპო, მარა მრავალთა თვითმპურობელობა ხელშეუხებელია. პირველმა რეფორმის საჭიროება დაასაბუთა ხალხის მოთხოვნილებით, თავისუფლება ხალხს სურს. მეორებმაც მოინდომეს ასეთი საბუთის წამოყენება, თავისუფლების წინააღმდეგ ხალხის ამოძრავება და მით პირველის საბუთების დარღვევა. და ეს რამდენიმეთ შესრულება. რეაქციამ მოიკრიბა მთელი თავისი ძალ-ღონე, მოაგროვა თავის გარშემო ყველა ბნელი ძალა, შექმნა „პატრიოტული“ ლაშქარი და შეუდგა მტერთა აკლებას. მაღალი მთავრობა იძახის: ძირს თვითმპურობელობა! „ხალხი“ უპასუხებს: გაუმარჯოს თვითმპურობელთა კონტრ-რევოლუციამ მიიღო სახე ხალხის კონტრ-რევოლუციისა.

რევოლუციის მუდამ თან ახლავს კონტრ-რევოლუცია. ძველი წყობილება სამარეში არ ჩადის ისე, რომ უკანისკნელათ ერთი კიდევ მძღავრათ არ გაექან-გამოექანოს. თუ კი ჩეენ ვიბრძვით თავისუფლებისათვის, რატომ მოწინააღმდეგებებმა არ უნდა იბრძოლონ თვითმპურობელობისათვის? აქ ძლიერი იმარჯვებს, სუსტი მარცხდება. რომელი

ბანაკია ძლიერი, რევოლუცია თუ კონტრ-რევოლუცია? შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ორივე ერთ და იმავე დროს ძლიერიც არის და უძლურიც. პირველი ძლიერია იმით, რომ მისკენ არის ისტორია, ცხოვრების მსვლელობა, უძლურია იმით რომ, აკლია შეიარაღება, აკლია ბრძოლის ნივთიერი ძალა. მეორე კი პირ-იქით, თავიდან ფეხამდის იარაღში ზის, მარა ისტორია, მთელი ცხოვრება მისი წინააღმდეგია. მათთვის იარაღის ჩამორთმევა, ძველი ბიუროკრატიის ძირ-ბუღდიანათ ამოგდება—ერთათ-ერთი თავდებია კონტრ-რევოლუციის სამუდამოთ გატეხის. როცა გადადგება ძველი მართველები, გუბერნატორებ-ლენერლები და მათი უფროს-უნცროსნი და მათ ალაგას დაიჭირს ახალი ხალხი, თავისუფლების მომხრენი, მაშინ შეიარაღებული რეაქცია დაილეწება. და თუ ეს არ მოხდა მალლიდან, ვიტოს მთავრობის მიერ, მოხდება ქვევიდან, ხალხის აჯანყებით. ასე იქნება თუ ისე, რევოლუციამ უნდა დაამარცხოს რეაქცია, მეტი გზა არ არის.

მაგრამ დღევანდელი კონტრ-რევოლუციის გატეხა კიდევ არ ნიშნავს კონტრ-რევოლუციის საზოგადოთ გატეხას. კონტრ-რევოლუცია, ისე როგორც რევოლუცია, ბევრნაირია. დღევანდელმა რევოლუციამ გამარჯვება მიანიჭა ლიბერალებს, მაშასადამე კონტრ-რევოლუციაც უნდა იყოს რეაქციონური ლიბერალთა წინააღმდეგ. და თუ ხვალ რევოლუციამ გამარჯვება არგუნა დემოკრატიას, მაშინ დაიწყება კონტრ-რევოლუცია ლიბერალურ-რეაქციონური—დემოკრატიის წინააღმდეგ. და აი, სწორეთ ეს კონტრ-რევოლუცია ყველაზე უფრო საშიშია ჩვენთვის. დღეს რეაქცია განმარტოვებულია, მას ეპრედის მთელი ოპოზიცია, თვით მთავრობაც (დაითხოვეს ტრეპოვი, პობედონისცევი, ვლადიმირი და სხ.). ამიტომ მისი დამარცხება ადვილია. ლიბერალთა რეაქცია კი არ-ღვევს ოპოზიციას, მას აშორებს ბურჟუაზიას და ამაგრებს ცალკე, როგორც გაბატონებულ კლასს. ამით საჩვენებლივ დამარცხებული რეაქციონერები, ემხრობიან ლიბერალთ ხალხთან საბრძოლველათ, რომ შეერთებული ძალ-ლონით რაც შეიძლება უკან დააქანონ ისტორიის ბორბალი. წარსული და აწყვი ერთმანერთს უკავშირდება მომავალის გასანადგურებლათ. ცხადია, ეს კონტრ-რევოლუცია დიდათ საშიშია. და რომ ესეც დაძლეული იქმნას—საჭიროა ლიბერალების მომავალ მოკავშირთა—რეაქციონერების—დღესვე ისე დასუსტება და გატეხა, რომ მათი გამომრუნება არა-ვითარ ძალის აღარ შეეძლოს. ამ შემთხვევაში ლიბერალთა კონტრ-რევოლუცია მოკლებული იქნე-

ბა მძლავრ მებრძოლოთ და რევოლუციის მასზე ადგილათ გაიმარჯვებს.

მაშ ბრძოლა კონტრ-რევოლუციის, ბრძოლა მედგარი და შეურყეველი—ი ერთათ-ერთი თავ-დები დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებისა.

სახელმწიფო სათათბირო

და ჩვენი ტაზტიქა.

სახელმწიფო სათათბირო, მეტს აგვისტოს გამოცხადებული, ანადენიმეთ შეიცვალა 17 აქტიმრის შანივესტით. ზორუელი წარმოადგენდა ერთ ბიუროკრატიულ დაწესებულებას, მოწევულს თვითმშემნებულობის გასამტკიცებულათ და რევოლუციის გასატეხსათ. მას არ ქონდა გადამჭრელი ხმა, მისი თანხმობა სრულად არ იყო საჭირო კანონების გამოსაცემათ. ის იყო სათათბირო და არა კანონმდებული. მისი წევრები იწევდა შეძლებული კანონების მიერ და ესეც არა-ბირდაპირი და არა-თანასწორი საარჩევნო უფლებით. პროცესუარიატი ერთიანი განვევინილი იყო საარჩევნო ასპარეზიდან, ხოლო გლეხობიდან ხმა მიეცა მსოფლიო უმცირესობას, რევულ ნაწილს. და ერველივე ეს სიძუხტიანე გზარგინდებოდა უფლებარი თავისუფლების შეპირვებით, მოქალაქეთა უფლებების უარის ეფუძით, სამეცნიერო დაქტარურით და მაღმომრეცხობით.

ასეთია ექვსი აგვისტოს სათათბირო.

მთავრობას ისედი გაუცრუვდა. ამ კომედიამ გადებები უფრო გააძლიერა ხალხის რევოლუციური მორჩაობა, კადევ უფრო ააგრია აჯანების დადებული ტალღები, კადევ უფრო ააბობორი მთელი რუსეთი. შემინებული მთავრობა კადევ ერთ ბიჭს დგამს წინ და 17 აქტიმბერს აცხადებს ტევდ წელიდებას უგარგისათ და თვითონ გებირდება თვითმშემნებულობის დანგრევას. სახელმწიფო სამინისტრო შეინძრა, კონსტიტუციის შუქმა ბნელეთში შემოატანა და თან მოცემას სათათბიროს ცვლილებაც. გამოცხადდა თავისუფლება კრების, სიტუგის, კავშირების, სინიდისის და ზირადი ხელშეუქცებლობა—ე. ი. ჟევა ის, რაც მოუცილებლათ საჭიროა პროცესუარიატი არჩევნების საწარმოებლათ. სათათბირო გახდა კანონმდებული და მასში მონაწილეობის ნება მიეცა მოდლურაატის. მაგრამ მოუცედავათ ამ ცვლილებას, ახალი სათათბირო დადათ არ განსხვავდება ქველისაგან. აქეც მთელი საარჩევნო ძალა ხელო უპრეზიდან შეძლებულ ბურჟუაზიას, დემოკრატია დადი უმრავლესობა მისი არჩევული, დანარჩენი კლასები კი მისი მაჩინებლებისა მათი საარჩევნო უფლება მათი თვითონ ახვევა. მთავრობამ აქეც უპრეზი საყოველოთ, ზირდებირი და თანასწორი არჩევნება და მთელ ხალხზე გაბატონა ერთი მუჭა მურუჟ-კანისმდებელები. ეს რესერის მურუჟ-კანის მირეველი დადი გამარჯებება და ისიც „შემეუშვიდობის ურთგულებას“ უცხადებს მეზეს.

အကျတေး 17 အပိုဒ်မံရင်း စာတော်ဝါရာ.

ରୁଗ୍ରାନ୍ ଜ୍ଞନ୍ଦା ମିଶ୍ରଗ୍ରୂପଟଙ୍କର ବ୍ୟକ୍ତି କ୍ଷାତ୍ରବିଦୀରୁକ୍ଷ? ରୁଗ୍ରାନ୍ ଜ୍ଞନ୍ଦା ଏହାର ମିଶ୍ରକ୍ଷେତ୍ରର ବ୍ୟକ୍ତି କ୍ଷାତ୍ରବିଦୀରୁକ୍ଷ?

ჩევნი ტაქტიკა აქაც, ოთვორც უფეხლოვის, გამომდინარების ჩევნი შროვანაშიდას. ჩევნი ვართ სოციალ-დემოკრატები, ე. ი. უცდილობთ დემოკრატიული რესპუბლიკის საშუალებით სოციალიზმი განვითარებით და გზაზე გვეძლოთ — წევისა — ბურჯუაზია. ამიტომ ბრძოლა მეფისასთან რესპუბლიკისათვის და ბურჯუაზიასთან სოციალიზმისათვის ჩევნი უწმიდესი მიზანია. შირველი მაზნის მიღწევაში ჩევნთან ერთად მონაწილეობას იღებს ბურჯუაზიული დემოკრატიაც, მაშასადამე აქ ჩევნ უნჩებით უბრალო რეგოლარეციურ ჰარტიათ, ვაწარმოებთ დემოკრატიას. მეორე შემთხვევაში კი ჩევნ უკვე განმარტოვებული გართ, ვირჩენთ ჩევნ საკუთარ შროვალერარეულ სახეს, ვინჩებით რევოლუციონირ სოციალდემოკრატია. დღემდის ჩევნ აღვილათ ვაწარმოებდით შირველი ბრძოლას, ვინაიდან ეს მტერი შოღალტივური უფლებებით ადგერვილია და ვეტავასათვის დასახასვა. ბურჯუაზია კი მოკლებული იყო შოღალტივურ უფლებებს და იძელებული ვიზავით მას მხრიდან სიბჭოებში, ერთებში და სხვა ასეთ დაბალ დაწესებულებებში შევბრძოლებდით. მაგრამ ეს ბრძოლა სომ შოღალტივური ბრძოლა არ არის, მაშასადამე არც სოციალდემოკრატიული ბრძოლაა. ჩევნ აქ მსოფლიო ვერცხბოლით მომავალ ჩევნ შოღალტივურ მტერის, მას ძალას უშინვანებით და ამის შესატერათ ვემზადებოდით. მეორე შერით, ჩევნ აქ მათ ძალას ვატანოთ თვითმშერბებულობას არ შეურიგეხს, თოვზიცია გააძლიეროს და ასე რევოლუციას მხარი დაუჭიროს. მაშასადამე ბურჯუაზიას საშემეგებში ჩატევა და მათან ბრძოლა ჩევნ გვაძლიერებს როგორც რევოლუციონერთ, თვითმშერბებულობის მტერთ. ასეთი იყო ჩევნი ტაქტიკა აქამდის.

ამ გზით შროლეტარის გათვითნიბერებისა. ამი-
ტომ ბურჟუაზის საბჭოებიდან და ეროვებიდან შეთქმი-
ოთშეაც უნდა გაგვეთ, თავისუფალი გზა პრე-ჯე შევ-
სცეთ, მას აქაც კრიჭები ჩავუდგეთ და შროლეტარის
კლასიური ბრძოლა მთელი თავისი სასესხით ვაწარმო-
ვთ. მთელი რესეთის ბურჟუაზია აქ, ამ სათაბაროში,
მაღლდება შოლიარიკურ კლასმდის, აქ გრძნობს ის თა-
ვის თავს ერთ მთელათ, ჭირში და ლხინში განუქრე-
ლათ. მაშესდამე მთელ რესეთის შროლეტარის მსო-
ლოთ მასთან შეტაცებით შეუძლია თავის თავიც ერთ
კლასათ, ერთ მთელათ, ჭირში და ლხინში განუქრე-
ლათ წარმოდგინოს და ასე რესეთი თან დანდ შოლი-
ტიანურ ბანაკათ დაწეს.

და აი, როცა ასეთი ღიღებული ბრძოლის დაწყება
შესძლებელი ხდება, როცა შილაგრიგური ნიადაგი ასე
გვიატორთვედება, ამ დროს მოდიან ზოგიერთები, გან-
საკუთრებით „მეუმრავლესები“ და გვიქადაგებენ: თქვენ
მოგცდიათ, სათამართო კომიდია, დანებეთ მას თავი,
ჩვენ აგერ „გრილდოვის“ ვებრძოლოთ! ვინ არან
ესები? სოციალდემოკრატები არა, ესენი დემოკრატე-
ბია; მსოდოთ დემოკრატების ორერესია ბურჟუაზიას
თავი დაჭანებით და მას ბურჟუაზიული თავისუფლება
ჩვენ მოუკეთოთ. მსოდოთ დემოკრატების სწავლიან შრო-
ლებარიატი ბურჟუაზიას არ დაუშირდაშირდეს, ცალკე-
ბარია არ დაარსოს და მთელი თავისი ძალა-დონე მარ-
ტო თვითმშერბელობას შეაფიას. ამიტომ ისინი გვირ-
ჩებენ უფერნაირ „ბლოკს“, „დემოკრატიულ დაქტა-
ტურას“, სოციალიზმით მოცდას და სხვა ასეთ დამო-
რიუნისტულ ტაქტიკას. დემოკრატია მიზანია შო-
ლატოგური თავისუფლება, მას იქით მათი შილიატი-
კური იღებადი არ მიღის, ჩვენთვის კი ეს მიზანი სა-
შესალებაა სოციალიზმისათვის. მაშესდამე მათი ორტ-
რესია არა კლასთა ბრძოლის გაძლიერება და ბურჟუა-
ზიასთან შეტაკება, არამედ შირდაშირ დემოკრატიულ
წევბილებაში გადასვლა, რა გზითაც იქნება ის, ბრი-
ტორით, აჯანებით თუ სხვა რაშით; თვით ეს გზა მათ
არ აინტერესებს; ჩვენ კი სწორეთ ეს გზა გვაინტე-
რესებს და ვთვიქტორით ერთ და იმავე დროს რაი საქმე
გასაკეთოა: სოც. დემოკრ. შატრია განვილიგროთ ბურ-
ჟუაზიასთან ბრძოლით და სოული დემოკრატიული წევ-
ბილების დამარტინით.

საერთ კრებას (იგივე სახელმწიფო სათათბირო) უკანად-
დება არ მავაქციეთ, ვიწევთ ჩვენთვის მზადება და ერთ
შევენიერ დღეს შეიაღებული ქუჩაში გამოყენდათ სა-
ბოლოებელათ. და ა, აქ წინ გვიხდება ერთი მტრის
მაგარ არ—მთავრობა და საერთ კრება! იმ დროს,
როცა ჩვენ ჩვენთვის გემზადებოდით ამათ უკეთ მოუს-
ტრიათ მთავრობა, შეითხოება, თავის სასარგებლო
კონსტიტუციის შემუშავება და მართველობის ერთმანერთ
შერის განაწილება. ეს პირდაპირ მთავრობას სასარგებ-
ლო ტაქტიკა და ამიტომ ერთიანთ უარესობა უნდა
იქნას.

აქერა სათათბიროს ბოიკოტი—მეფის ბლანების
ხელის შეწყდაა, რეპრიატის გაძლიერებაა, კონსერვატიო-
ნის გამაკრებაა. ეს კონსერვატიონის ტაქტიკა.

ეს კადევ ცოტაა, სათათბიროს ბოიკოტი მოასწი-
ვებს აგრეთვე ბურჟუაზიასთან ბრძოლის უოფის,
მაშასადამე პროლეტარული ბრძოლის დასუსტებას და მის
საერთო რევოლუციონურ შარტიებში არეას. ეს ბურ-
ჟუაზიული ტაქტიკა.

ამინათ, როგორც ბურჟუაზიული ისე სოციალის-
ტური რევოლუციის ინტერესი მოითხოვს სათათბიროს
საქმეებში მინაწილება მივიღოთ, ის ჩვენი ბრძოლის
ცენტრათ გადაჭრაში, მის თვითეულ ნაბიჯს ფხიზ-
ლათ ვუდანავთ, ის ჩვენს მსედველობის ქვეშ დავაუ-
ნოთ, მთავრობასთან შეერთება არ დავაწეოთ, მისი ა-
დაზღვური ნაწილი ჩვენ შემოვიდეთთ, ხოლო ზომიერ-
ით ნაწილი გავარადიყალოთ და ასე სათათბირო რევო-
ლუციის იარათ, პროლეტარიატის გათვითნიდან და ისე
საშუალებათ გადავაქციოთ. ეს კი შეიძლება თრი-
კით: ბრძოლის თვით სათათბიროს დარბაზში გადა-
ტანით, ბურჟუაზიის დეპუტატისთვის ჩვენი დეპუტა-
ტის დაბრუნდაპირებით; მეორე მხრით რევოლუციური
ზომებით გარედმიდან მასზე ძალატანებით (დემონ-
სტრაციებით, მიტინგებით, გაფიცებით და აჯანყებით).
პირველი მიზნის მიღწევა, ჩვენი წარმომადგენელის არ-
ჩევა ადვილია განსაკუთრებით ჩვენში, სადაც სააჩევენო
უფლების მქონე კლასობრივი ჩვენი არგანიზაციების სეჭ-
მძღვნელობით იძრდიან. ამიტომ ახლავე უნდა დაარ-
სდეს დევალური სააჩევნო კომიტეტები და ბურჟუა-
ზიული შარტიების ბრძოლაშის კრიტიკს შეუდგენ. საარ-
ჩევნო აგრძარა საუბრეოსთ სასარა ბურჟუაზიასთან
ბრძოლის და სოც. დემოკრატიული შარტიის გამძლავ-
ნების. ამსთანავე მიუცილებებია არგანიზაციების იმ-
დენათ გაუმჯობესება, რომ მან უფლება ქმნა შეიძლოს
სალხის რევოლუციურათ ამონტავება და სათათბიროზე
საჭიროების დროს ძალადატანების მოხდენა. სათათბირ-
ოს შესრი უკუკრით, რამდენათ ის ებრძვის ძველი
ის ებრძვის პროლეტარიატის დროდაულებას. ჩვენ მას
ვაძიშვილ იტაროთს რევოლუციური ინიციატივა და

მთაწოდოს დამფუძნებელი კრება (თუ ამ განაცხადის მო-
წვევა მანამდის ვერ მოხერხდა, რასაკვირვებული), რომელიც
ეს მოხდა საფრანგეთში დიდი რევოლუციის დროს
(1789 წ.); და თუ ის წინადაუდგა დამფუძნებელ კრე-
ბას და მაგებდება მთავრობას—ჩვენი ვალია ძალათ დაგ-
შეღვივთ ის და მეფიასთან ერთათ გაფანდგუროთ.

ერთი სიტყვით, ჩვენი ტაქტიკა, მოყვეთ, ასეთა:
გაფიცებით უკვე მომოვებულ შიზიდიაზე და მისი საშუა-
ლებით წავიწით წინ ჩვენი მიზნისაკენ. თავისუფალი
კრება, სიტყვა, კავშირი, სათათბირო და სხ. ჩვენთვის
მხრივთ ბრძოლის იარაღებია, აღებული სიმაგრეებია
და ვინც რემელიმე ამათგანს ბოიკოტის უცხადებს იმიტომ
რომ ის კიდევ დამფუძნებელი კრება არ არის—მან არა
უწევას რასაც შერება. არა, ჩვენ ვითადდებით უველა იმ
იარაღით, რასაც კი ცხოვრება სელო გეაძლევს და მთ
ვარდვეჭით მტერთა სიმაგრეს.

დემოკრატია

და სოციალურმომატიკა.

III

როგორც პირველი თრ წერილში დავინახეთ,
სოკ.-დემოკრატიას ორი მხრიდან ემუქრებიან—
შიგნიდან და გარედმიდან—და მას უპირებენ გადე-
მოკრატებას. როგორ შეეძლება მას ამ საფრთხისა-
გან თავის დაღწევა და ნამდვილი პროლეტარული
სასიათის შერჩევა? აი კითხვა, რომლის გარკვევას
ახლა შევუდგებით.

ნაოქემია კიხ შიგნიდან გატყდებაო და მარ-
თლაც, თუ პარტია შიგნიდან არის გამაგრებული,
მკვიდრ ნიადაგზე დაყრდნობილი, გარეშე მტერი
დიდს ვერას დააკლებს. სოკიალდემოკრატიამ კარ-
გათ იცის როგორ უნდა გაუმკლავდეს ბურჟუა-
ზიულ პარტიებს და მათი დანგრევით თვითონ გან-
ვითარდეს. მაშასადამე კითხვა ჩვენი პარტიის გარე-
შე მტერზე გამარჯვებისა არის კითხვა მისი შიგ-
ნით გამაგრებისა, მოწყობისა და შინაური მტრების
დამარცხებისა. ნამდვილი სოკიალდემოკრატიული
პარტიის შედგენა, მისი ყოველნაირი რყევისაგან
განთავისუფლება—აი ჩვენი დღევანდვები საზრუ-
ნავი. ამის მიღწევა შეიძლება იმდენათ, რომდენათ
ჩვენს პარტიის გავსწორდო წვრილ ბურჟუაზიისა-
გან და შიგ გაფაბატონებთ პროლეტარიატს. ეს კი
შეიძლება წვრილ-ბურჟუაზიული ორგანიზაციის და
ტაქტიკის უარის ყოფით და პროლეტარულის შე-
თვისებით. ამ მხრით კავკასიის სოკიალდემოკრა-
ტია განსხვავდება რუსეთისაგან. მართალია აქაც
და იქაც პარტიაში მრავლათ შემოვიდა წვრილი
ბურჟუაზია, მარ წვრილი ბურჟუაზია სხვა და სხვა
გვარი, აქ წვრილი-ბურჟუაზია—„ხალხი“ (გლეხო-
ბა), აქ წვრილი-ბურჟუაზია—სარდალი (ინტელი-

շշնչուա). ամուռոմ հիցեն որդանոնթապրա Շյօվենա ხալքեց-
րո, զյուկը արույլո, հյսետու զո լցերալլուրո, ոն-
թյուղից թյուրո. ամ որո գարեմոցեասագան զամոմթօնա-
հյոմծ որո սեց դա սեց մոնանո. այ որդանոնթապրուու
սամուկցելո զամոսապրալո օճառ արուու, ու նամթօնուու
პրուլցերարուլուա, սաքուրու մեռլուու ամ սամուկցելից
աՇյենցը մացարո և սուրուալցեմոյրաթյուլո կը լցելո,
հյսետնու զո սաքուրու զամոսապրալու որդանոնթապրուու
տցուո սամուկցելո, ու համոյերտցաս ոնթյուղիցնուաս
դա գաճայցը პրուլցերարուալու. პորցելո մոնենու
մոլիցը Շյօմլցեծ մարտու թայբույուս զամո-
պրալուո. հիցեն սաքուրծուրութու կոտեց թայբույուրուո
կոտեցաս, մյուրա մոնենու մոլիցը զո Շյօմլցեծ որդ-
գանոնթապրուոս զամոպրալուո, հյսետու սաքուրծուրութու
կոտեց որդանոնթապրայուրո կոտեցաս, հասաց նշեց յո-
տցուս թայբույուրու կոտեցապ. զանցոթօնուու յև որո
մոմթօնահյոմծ քալ-պալ-կը.

სოციალდემოკრატია სხვავდება დემოკრატიიდან
და მათ შორის აშკარა ზღვარს დებს. ეს კი შემძლება დურუეუაზიულ პარტიებთან ბრძოლით, ჩვენს მოქმედების მათთვის დაპირდაპირებით, მათი კრიკაში ჩადგომით და ჩვენი მხედველობის ქვეშ დაყენებით. ასეთი ტაქტიკა უეჭველია დააფრთხობს შემოხიზნულ წვრილ ბურუებს, შეიძლება ესენი კადევაც გავიდენ პარტიიდან, სამაგიეროთ ასწევს პროლეტარიატის შემოქმედებას, მის ენერგიას და თვითცნობიერებას, განამტკიცებს სოციალდემოკრატიაში მის გეგემონიას (უფროსობას). ვინც მას შეიკედლება — შეიკედლება არა როგორც დემოკრატი, არამედ როგორც სოციალდემოკრატი და ის მას გაჰირებაშიაც შერჩება. თუ პარტიაში პროლეტარიატია გაბატონებული და ის თავის კლასიურ პოლიტიკას აწარმოებს, — აღვილათ მოახერხებს გარეშე ელემენტის მიღებას და თავის არსებაში გადახარშევას. გერმანიის სოციალდემოკრატიაში დიდალი წვრილი ბურუეუაზიაა, მარა ეს მისთვის დიდ განსაცდელს არ წარმოადგენს, რადგანაც მისი მთავარი ძალა, მისი გული შეკავშირებული პროლეტარიატია და უკანასკნელ მსჯავრს პარტიის თვითულ მოვლენას ის სდებს. ის სწორედ ასეთი გული, ასეთი საძირკველი უნდა შევქნათ ჩვენც ჩვენს პარტიაში.

რა როლს ითამაშებს ამ პროცესში გლეხობაზე
მისი როლი აქ ერთათუერთია: ის უნდა მიყვეს პრო-
ლეტარიატს, დაემორჩილოს მის ორგანიზაციას. ის
არც მის წინ უნდა მიღიოდეს, არც მის გვერდით,
ის მას უკან უნდა მისდევდეს და ზურგს უმაგრებ-
დეს. და ეს მით უფრო იდვილია ჩვენსი, რომ გლე-
ხობა უკვე მიეჩვია ქალაქის მუშათა მეთაურობას,
მისი წინამძღოლობით მოძრაობას. ამით დაითვა-
ერთნაირი პარტიული ტრადიცია, ტრადიცია პრო-
ლეტარიატის მოწინავეობისა და მის დროშის ქვეშ
დგომისა. ამიერიდან ლარიბი გლეხობა იძულებუ-
ლია ან სრულიად გავიდეს პოლიტიკური ასპარეზი-
დან, ან თავი შეაფაროს სოციალდემოკრატიას,
სხვა პარტიებს ის ველაზ გაყვება.

ამნაირათ, ჩვენი საჭიროობოტო კითხვაა არა
პარტიის კარების გაღება, ის უკვე საკმაოთ ღიაა,
არამედ პარტიის გაღრმავება, სოციალისტური შე-
გნების გაფართოვება, ჩვენი პროგრამა-მაქსიმუმის
წინ წამოყენება ჟა ასე პროლეტარიატის პარტია
წმინდა სოციალდემოკრატიულ პარტიათ გადაიჭირება.

სულ სხვაა რუსეთში. აქ საღაო კითხვათ არის
გადაჭცეული ის, რაც ჩვენში უდაოთ არის აღია-
რებული *), სახელმომართ პარტიაში პროლეტარია-

^{*)} მართალია ჩვენებული „მეუმრავლესნი“ დიდათ დაობებს, მარა მათ არავითარი ნიადაგი არ აქვთ და მათი ხმაც რჩება ხმათ მღაღაღებლისა.

ტის შემოშვება და მისთვის მეთაურობის მინიჭება. იქ პარტია ხელში ჩაიგდო ინტელიგენციამ და იქიდან მუშებს ჯოხით ერეკება. მართალია აქ პარტიის იდეური გავლენა დიდია, მის ფურცლებს, მის მოთხოვნილებებს დიდათ ეტანებიან, მაგრამ მისი ორგანიზაციური გავლენა კი მცირეა; მოწინავე პროლეტარიატი აზროვნობს პარტიისთან ერთათ, ხოლო მოქმედებს კი მისგან დამოუკიდებლათ. იქ ორგანიზაციის მოწოდება ხშირათ რჩება უშედეგოთ, სამაგიეროთ სრულიად მოუწოდებლათ დიდი მოძრაობა იწყება. საკმარისია გავიხსენოთ ოდესის უკანასკნელი ამბები*). როცა ჩეენმა ორგანიზაციამ საერთო გაფიცვა გამოაცხადა, არც ერთი ფაბრიკა არ გაჩერებულა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი პერესიპას მუშებმა თვითონ დაიწყეს გაფიცვა და ის გაფიცვა სრულიად მოულოდნელათ გადაიქცა აჯანყებათ. ერთი სიტყვით ორგანიზაცია დაშორებულია მუშებისაგან და მუშები ორგანიზაციისაგან. ისინი პარტიაში არ შედიან, მათ იქ არავითარი ხმა არა აქვს, მათ უცემრიან როგორც უწყლოვანთ, მორჩილთ, რომელთაც არაფერი ეკითხება. ამიტომ ჩეენს პარტიის ისინი უყურებენ არა როგორც თვის პარტიას, არამედ როგორც სხვისას, რომლის მიზანია მუშების დახმარება. ეს ასე ვთქვათ საქველმოქმედო დაწესებულებაა, მუშათა მოყვარულთა ორგანიზაცია და მეტი არაფერი. აირას სწერს ორგან. კომისიის წევრი ერთ თვის უკანასკნელ წერილში: „უცემველია, რომ მოძრაობა სწრაფათ იზრდება და ღებულობს უფრო და უფრო გარკვეულ პოლიტიკურ ხასიათს. წმინდა პოლიტიკური გაფიცვა იყო ნიკოლაევში. ასეთი ხასიათის იყო ოდესის ამბებიც. მაგრამ როგორც ყოველთვის ახლაც ჩეენ ორგანიზაციებს მოძრაობის ფორმაზე ნაკლები გავლენა ქონდა. ნიკოლაევში გაფიცვა მოხდა ორგანიზაციის სრულიად გარეშე. ოდესაში დამწყები იყვნენ მუშათა დეპუტატთა კრება. ამ კრებას დაესწრო ჩეენი ორგანიზაციაც და მის გადაწყვეტილებაზე იქნია გავლენა, მარა აშკარა იყო, რომ ხალხი თვის ლოზუნგებს ელოდა არა ორგანიზაციიდან, არამედ თავის მიერ არჩეულ დეპუტატებისაგან, ის მისდევდა არა ორგანიზაციას, არამედ თავის ღებუტატებს. ხალხის იცის, რომ ორგანიზაცია ეხმარება მას გარეშემო მოხდარი ამბების შეგნებაში; მუშები გვთხოვენ დახმარებას (ლიტერატურა, იარაღი, ფული და სხ.), მარა თავის პირდაპირ წინამძღვრლთ მასსა ეძებს და პოულობს თავის შორის. ის მიღის თავის დაჭრილ დეპუტატების განსათვისუფლებლთ, ამტვრევს უჩასტკებს, მოითხოვს პოლიციისაგან მათ გაშვებას, ხოლო

პარტიის წევრთა დაჭერას და ორგანიზაციის ჩავარდნას ის გულგრილით უყურებს. და ასე რაც უზოდებელი ვითარდება მოძრაობა, მით აშკარავდება, რამდენათ ჩეენ შორს ვართ მასისისაგან, რამდენათ მოკლებული ვართ მასზე ორგანიზაციურ გავლენას, რამდენათ უცხოა მისთვის ის აზრი, რომ ს. დ. მ. პარტია მისი საკუთარი პარტიაა“.

ამ წერილიდან ნათლათ სჩანს რუსეთის ორგანიზაციების სიღუბჭირე. „უმრავლესობის“ მთავარი უცულომა იმაშია, რომ მან ეს სიღუბჭირე არა თუ ვერ შეიგნო, არამედ ის ლირსებათ გამოაცხადა და ეს პროლეტარიატის პარტიიდან გამორევა მოგალეობათ აღიარა. და ის „უმცირესობა“ მუშაობს პარტიის ამ მდგომარეობისაგან გამოსაყვანათ, პარტიის კარების უფრო ფართე გასაღებათ და სოციალდემოკრატიული პარტიის პროლეტარიატის პარტიათ გადასაქმევათ.

რატომ ასე დახუცეს რუსის ამხანაგებმა პარტიის კარები და „მეუმრავლესენი“ ახლაც ახშობენ? ამის დასასტუთებლათ ისინი ასახელებენ შემდეგ მოსაზრებას: მუშა პარტიაში შემოიტანს ოპორტიუნიზმს, ამიტომ ის მხედველობის ქვეშ უნდა გვყავდეს და სანამ სრულიად შეგნებულ სოციალდემოკრატიათ არ გახდება—პარტიაში არ უნდა შემოვიყვანოთო.

მუშა ოპორტიუნისტია! მართალია ეს? ოპორტიუნიზმია იმ ოპოზიციური კლასის თვისება, რომელიც ორჭოფულ მდგომარეობაშია, ხან არსებული წყობილებიდან გამოელის ხსნას, ხან მისი წინააღმდეგია. ასეთი კლასი წვრილი ბურჟუაზია და იქიდან გამოდიან სოციალდემოკრატიის ცნობილი ოპორტიუნისტები ეგრიპაში (ბერნშტაინი, უორესი, ტიურატი და სხ.), პროლეტარიატი კი თავის მდგომარეობით რევოლუციური კლასია, ის მთელი თავისი არსებობით არსებული წყობილების მტერია, მისი თვისება რევოლუცია. და თუ მისი რომელიმე წევრი ოპორტიუნისტია იჩენს—ეს აიხსნება მისი პირადი დაბნეულობით და არა კლასიური მდგომარეობით. ამიტომ მისი პარტიაში შემოსვლა ნიშანს რევოლუციონერის შემოსვლას და თუ ის თავიდანვე შეგნებული მებრძოლი არ არის, პარტიაში, თვით ბრძოლის პროცესით, ის თანდათან ცნობიერდება და თავის კლასურ პოლიტიკას აღვილათ ადგება. სულ სხვაა ინტელიგენტი. აი ის ბუნებრივი, თავისი კლასური მდგომარეობით ოპორტიუნისტია, ის პარტიის ბრძოლის აღვილათ ვერ უძლებს, მისი სათუთი ნერვები პროლეტარიატის „მოუხეშავობას ვერ იტანს და თანდათან მარჯვნივ, შემარიცებელ ტაქტიკისაკენ იხება. ამიტომ ინტელიგენტი დიდათ განვითარე-

*) ეს წერილი დაწერილია ამ სამი თვეს ჭინეთ.

შეული უნდა იყოს პარტიულ ლიტერატურა-ში, მარქსიზმი ძვალ და რბილში უნდა ქონდეს გა-შვერარი, რომ პარტიას ბოლომდის შერჩეს, პრო-ლეტარიატის მუდმივი თანამგზავრი განდეს. ამით იხსენება ის, რომ ლასალის დარსებულ „გერმანიის საერთო მუშათა კავშირის“ წესდებით მის წევრათ შესვლა დაუბრკოლებლივ შეეძლო მუშას, საკმა-რის იყო მისი ასეთი სურვილის გამოცხადება, ხო-ლო არა-მუშის მიღება კი დამოკიდებული იყო მთავარ-გამგეობაზე, რომელიც წინდაწინ კრებდა ცნობებს კანდიდატის შესახებ. მუშას ინტელიგენ-ტურით შეკლია არ გაუვლია, რომ სოციალდემო-კუსტორიული მოძღვრება წიგნებიდან შეითვისოს. მისი ჩავალი მასწავლებელი ცხოვრებაა და რამდენათაც მის ბრძოლაში მონაწილეობას იღებს—იმდენათ ის ცნობიერდება. მას წიგნაკი კი არა მისი მდგომა-რება იტანს ძალას სოციალდემოკრატი გახდეს, საჭიროა მხოლოდ ის ამის შესაფერ-წრეში მოხვ-დეს. ასეთი წრეა მთელი ჩვენი პარტია.

„მეუმრავლესენი“ ამბობენ, მუშა სანამ ის და-სრულებული სოციალდემოკრატი არ შეიქნება— პარტიაში ნუ შამოუშვებთ და გადამჭრელ ხმას ნუ მოესცემთო. ჩვენ ვამბობთ ის რომ ნამდვილი სო-ციალდემოკრატი შეიქნეს საჭიროა პარტიაში შე- ი-დება. პარტიის ბრძოლაში ჩაერიოს და ასე თან-დათან გასოციალდემოკრატდეს. იმ რა თქვა ბებელ-მა 1891 წ. პარტიის ერთობუტის კრებაზე ამის შე- სახებ: „რომელ ჩვენგანს შეუძლია ოქვას, პირველი ტოლიდანვე სრული შეგნებული სოციალდემოკრატი ჟიყავონ? და იმ, მოდიან ოპოზიციის წევრები და ჩვენი პარტიის მილიონ ნახევარ ხმას დასცინიან, ესენი სოციალდემოკრატები არ არიან, შეგნებული და საბოლოვო მიზნის მცირდნე ამათში მხოლოდ უცირესობა არისო. აუერბახმა დღეს დილით ეს კალვ უფრო მკაცრათ გამოთქვა. მე გკიოხხავთ, როგორ გნებავთ მიაღწიოთ იმ მიზანს, რომელიც დღეს აუერბახმა სამართლიანათ დაგვისახა, თუ თქვენ მასას არ მოიმხობთ? ფიქრობთ დაიპყრათ საზოგადოება და სახელმწიფო იმ შედარებით პატა-რა რიცხვით, რომელნიც საფუძვლიანათ შეგნებულ-ნი არიან? ეს ხომ სრულიად შეუძლებელია. თუ მე ფიქრობთ გიუი ყოფილხართ. ჩვენ ვიმხობთ მასას იმით, რომ ვცდილობთ თვითულს ხელი ჩავ-შეიღოთ. ჩვენ მას ხელს ვკიდებთ პირველათ ერთ თითზე, შემდეგ კი მას ისე მოსდის, როგორც მო-უყიდა ეშმაქს თავის ცალი თითის გამწვდენელს, ე. ი. ჩვენ თითიდან გადავდივართ ხელზე, ხელიდან ტან-ზე და ასე ერთიანათ ვიცყრობთ. ამ გზით მოწინააღმდეგე გვიხდება ერთგული, თავდადებული მო-ხერე, რომელიც თავის მხრით კიდევ მომხრეებს

შეიძენს. ადამიანები შზა-შზარეულათ არ იბადებიან, როგორც მინერვა იუპიტერის თავიდან“ (პრატო-ცენტრული კოლები გვ. 164).

და იმ „მეუმრავლესენი“ გაიძახიან სანამ მუ-შა შზა-შზარეულათ, ერთ მშვენიერ დღეს სრულ სოციალდემოკრატებათ არ მოგვევლინება, მანამ-დის მისთვის პარტიის კარები დახშულია. ეს წმინ-და სექტანტური შეხედულობაა და, რასაკეირველია, მათი გმოგონება არ არის. ყოველგან მუშათა პარ-ტიის აღორძინების წინა ხანებში ასეთი სექტანტუ-რი აზრები იყო გამეფებული და თავის სექტაში არავის ღებულობდენ თუ არა კარგ ნაცნობს. მაგ-რამ როგორც კი მოძრაობა ფართოვდება, მუშა-ხალხი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის, ეს ვიწრო ორგანიზაცია მას წინ ეღობება და ხდება ორში ერთი: ან მოძრაობა არღვევს ორგანიზაციას და შიგნით შედიან, ან მოძრაობა ვითარდება ორგანი-ზაციის გარეშე და დგება ახალი პარტია. ევროპის უმრავლეს ადგილებში მოხდა პირველი, იმოძრავე-ბული პოლეტარიატი დაეპატრონა ორგანიზაციას და სექტა პარტიით აქცია. და ეს იმიტომ რომ სექ-ტის ქურუმები უმთავრესათ თვით მუშები იყვნ, ესენი ამაღლდენ თავის კლასზე და მას მაღლიდან მედიდურათ დაყურებდენ. მაგრამ იმდენი პოლე-ტიარული აღლო მაინც კი შერჩათ, რომ დროს მო-თხოვნილება შეეგნოთ და გუშინდელ ვიგინდარის- თვის ძალა-უნებურათ ადგილი დაეთმოთ. უარეს მდგომარეობაში იმყოფება დღეს ჩვენი პარტია რუ-სეთში. აქ სექტის ქურუმებია არა მუშები, არამედ ინტელიგენტები, რომელთაც საზოგადოებრივი კავ-შირი არა აქვთ პოლეტარიატთან და, მაშასადამე, არც პოლეტარული აღლო მოეპოვებათ. ისინი ფხიზლათ დარაჯობენ თავის ტრაპეზს და ახირებუ-ლათ არავის იკარებენ. და თუ ამ მიმდინარეობამ გაიმარჯვა, თუ „უმრავლესობა“ გაბატონდა, მუ-შათა მოძრაობა ჩვენი პარტიის გარეშე განვითარ-დება, თავის საკუთარ კალაპოტს გაიკეთებს.

ამნაირათ, პარტიის კარების გაღება, პარტიაში მებრძოლი პოლეტარიატის შეყვანა და შიგ მისი გეგემონის აღიარება—იმ რა იხსნის პარტიას რუ-სეთში ინტელიგენტთა ბატონობისაგან, მუშათა და-შორებისაგან. იქ დღეს ეს არის მთავარი საჭირ-ბოროტო კითხვა და ვინც ამ მხრით მუშაობს— მუშაობს პოლეტარული პარტიის მერმისისათვის.

გავათავეთ. როგორც დავინახეთ, რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია კიდევ დიდ მუშაობას საჭიროებს, რომ ის შეიქმნას მართლა მუშათა პარტია, მართლა სოციალდემოკრატია. პარ-ტიის მკვიდრ ნიაღავზე აგება როგორც ორგანიზა-

კიურათ ისე ტაქტიკურათ — დღევანდელი ჩენი სა-ჭირობოროტო კითხვაა, რომლის გადაჭრაზე დამო-კიდებულია პარტიის მერმისი.

პროლეტარული ტაქტიკა ჩენში, პროლეტა-რული ორგანიზაცია (და ტაქტიკა) რუსეთში — ი საითენ ვაქცევთ მხანაგთა ურალდებას, ი რუნდა დავაწეროთ ჩენს პარტიულ დროშა!

სოცეს-თათართა სოცეა-ულეტა.

აგრ ნახევარ ჩელინიდზე შეტა, რაც თათრებსა და სომხებს შორის გვევსის სხვადასხვა პდგრალებშია არქილია უშიფრულო ხოცა-ულეტა, რომელსაც ასთბით და ათსობით მაქტეს მსხვერპლი, თავზარს სტემს დასახენ მცხოვრებ და საშინალო აუკრებს რევოლუ-ციურ მოძალას გვვევსაშია.

